



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-16/ნ

26 თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

სტომატოლოგიური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 25
ნოემბრის №01- 55/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სტომატოლოგიური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 25
ნოემბრის №01- 55/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 111128002, 28/11/2011, სარეგისტრაციო კოდი
470230000.22.035.016099) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული
„სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებლებისათვის სამედიცინო დოკუმენტაციის
წარმოების წესი“-ს:

1. მე-3 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4. პაციენტის გასინჯვის ფურცელში – ფორმა №IV-220-1/ა (დანართი – №2),
დანიშნულებისათვის განკუთვნილ ველში, უნდა აისახოს ინფორმაცია რეცეპტის გაცემის
(არსებობის შემთხვევაში) ფაქტის შესახებ, რეცეპტის ნომრის მითითებით, რომელიც უნდა
აკმაყოფილებდეს „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო
საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26
ივლისის №01-29/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. მე-5 მუხლის დაემატოს მე-6 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

„სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელზე საპილოტე რეჟიმის განმავლობაში, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 აპრილამდე, არ გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლის, ასევე სხვა ზედამხედველობითი ღონისძიებები და საჯარიმო სანქციები, რაც დაკავშირებულია მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის სავალდებულოდ ელექტრონულად გამოწერის წესებთან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი